პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

□ კვირა 9 ივლისი 1978 წ. □ № 161 (17205) □ ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის ფინიშზე

მაღაროელები ახალ წელს ავდებიან

„ჩვენმა ბრიგადამ დღეს ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა დავალებაზე ერთნახევარჯერ მეტი მანგანუმი

სესიას ვუსურვებთ წარმატებით მუშაობას, პირადად თქვენ ჯანმრთელობას". — ასეთი დეპეშა გაგზავნეს მოსკოვში სესიის მუშაობის დაწყების დღეს თავიანთ ბრიგადირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის იუზა ბარბაქაძის სახელზე ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს მაღაროელებმა.

წლის დამდეგს ბარბაქაძის ბრიგადამ გადაწყვიტა ხუთწლედის სამი წლის გეგმა დამკვრელური წლის 7 ნოემბრისათვის შეესრულებინა. მაგრამ უკვე დღეს ბრიგადის სამუშაო კალენდარზე 1979 წლის იანვარია. წარმატებას მათ მიაღწიეს მანგანუმის კლობჩენისა და დატვირთვის მექანიზებული კომპლექსის. აგრეთვე სხვა მაღალმწარმოებლური ტექნიკის სრულად ათვისების შედეგად.

ჭიათურელი მაღაროელები წარმატებით დგანან მეათე ხუთწლედის დამკვრელური წლის ვახტზე. მათ ანგარიშზეა 38 ათასი ტონა ზეგეგმითი მანგანუმი წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 40 ათასი ტონიდან. ამ პროდუქციის დიდი ნაწილი უმაღლესი ხარისხისაა. (საქინფორმი).

ზეგეგმითი მილიონები

რუსთავი. (საკ. კორ.) ქალაქის ძრიფველრმამ წარმატებით შეასრულა მეათე ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნახევრის დავალება. იქვსი თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია 2 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

პარტია მოგვიწოდებს — შევასრულებთ!

საქართველოს მშრომელები საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს

იმატებს ზვრების გარაქა

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება და ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება—„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ" — ლენინური აგრარული პოლიტიკის გაგრძელებაა. 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა მძლავრი ნაბიჯით წავიდა წინ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა მიზნად დაგვიხატა კვლავაც განვაგრძოთ სოფლის მეურნეობის განვითარების კურსი. ამჟამად პლენუმის მასალებს გულდასმით ვსწავლობთ და სამოქმედო პერსპექტიულ გეგმას ვადგენთ.

მე, როგორც მევენახე, ვალდებულებას ვკისრულობ წლიურს ყურძნის უხვი მოსავალი მოვიწიო. ბრიგადა, რომელსაც ვხელმძღვანელობ, საშუალოდ ჰექტარზე ნაცვლად 80 ცენტნერისა 100 ცენტნერზე მეტ ყურძენს მიიღებს. საამისოდ ჩვენი მევენახეები დარსა და ავდარში თავდაუზოგავად შრომობენ. აგროწესების მიხედვით ამუშავებენ ვენახებს.

ძველანაგელები სიტყვას საქმედ აქცევენ.

მ. ღვედაშვილი.

სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

მოსავალი ქარხანაში იწყება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ჩვენი საწარმოს მთელი მრავალათასიანი კოლექტივის ყურადღების ცენტრშია. ყველა საამქროში. ფბნებზე იხილავენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად გადაქცევის ამ ჭეშმარიტად საპროგრამო დოკუმენტს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა შორის უაღრესად სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოების შემდგომი განვითარება, როგორც ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა პლენუმზე აღნიშნა. ეს გვავალებს ვიბრძოლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭირო პროდუქციის ზამოშვების მნიშვნელოვანი ზადიდებისათვის.

მიღწეული წარმატებები ვავალებს. საწარმოს მთელი მოწყობილობა მაქარ ოპტიმალურ რეჟიმშია. ტექნოლოგიური პროცესის შეიფერხებლად განხორციელდა მთელი რიგი ავანმების რეკონსტრუქცია. მიმდინარი წლის გამოვიშვიათ 7 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ყანის „ვიტამინი". ავითვისეთ ახალი პროდუქციის — კარბამიდის წარმოება, რაც მეცხოველეობაში საკვები ცილის შემცველობა.

საბრძოლო ამოცანად აღებულ ვით ლენინდ ილიას ძის სიტყვები იმის შესახებ. რომ „ქიმიურ მრეწველობას ახლა უფრო დიდი ამოცანების ზადაჭრა შეუძლია". ამასთან დაკავშირებით უფრო ფართოდ გაშლილი შეჯიბრებას სახელმწიფოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. 100-ზე მეტმა ქიმიკოსმა უკვე ოპერაცია პირადი წლიური ვალდებულებების შესრულება. მათი გამოცდილება საწარმოს ყველა მუშამ ფლობს.

— მოსავალი ქარხანაში იწყება — ვამბობთ ჩვენ. ქიმიკოსები და ვცდილობთ ყველათერი ვიღონოთ. რათა ყოველნაირად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღონე. მაგალითად, წელს ჩვენ გადავწყვიტეთ გეგმის ზადაჭარბებით გამოვიშვათ 16 ათასი ტონა მინერალური სასუქები. ამის მისაღწევად ხორციელდება მთელი რიგი საამქროების რეკონსტრუქცია. შენდება ახალი სიმძლავრენი.

ნელი კერესელიძე.

რუსთავის ქიმიური ქარხნის ამონიუმსულფატის ხაამქროს უფროსი მეპარაკეტე.

(საქინფორმი).

ყველა ჩვენგანის ვალი და საზრუნავი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას უდიდესი ინტერესით შეხვდა ქობულეთის რაიონის საპატიო ნიშნის ორდენოსანი ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. და ეს გასაგებიც არის. მოხსენებაში დასმული საკითხები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და ჩვენი ხალხის სამომავლო პროგრამას წარმოადგენს. ამ დღეებში მეურნეობის ორმოცი აგიტატორი და იდეოლოგიური დარგის სხვა მუშაკი უშუალოდ ჩაის პლანტაციებში მართავს საუბრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებზე.

მოქმედების ცენტრში მუდამ კომუნისტები არიან. სწორედ მათ როლზე, ჩვენი კადრების როლზე სპეციალურად თქვა პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. შესანიშნავი შრომითი შედეგები აქვს, მაგალითად, აგროგანყოფილების მმართველს კომუნისტ ილია ზოიძის. მის აგროგანყოფილებაში შარშან თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 11 ტონა ჩაი მოიკრიფა. ილია თვითონ აგიტატორიც არის და პროპაგანდისტიც. პარტიის გადაწყვეტილებებს იგი უმალვე აცნობს თანამოსაქმეთ. ასეა ამჟამადაც. გულმხურვალე საუბარი გამართა მან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების მიხედვით მეურნეობის ეკონომიკაზე.

ჩვენი მეურნეობის მშრომელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. ეი უკვე მეორედ ზედიზედ დავიმახსოვრეთ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. შარშან მოვკრიფეთ ოთხი ათას რვაასი ტონა ჩაის ფოთოლი — წინა წელთან შედარებით ათასი ტონით მეტი.

ჩვენს მეურნეობაში კარგად დგას ინტენსივიკაციის საკითხი. ამას ხომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი. გვაქვს სამასამდე სხვადასხვა მარკის ტრაქტორი და საკრეფი მექანიზმი.

მეურნეობაში მიღწეული თვალსაჩინო ეკონომიკური მაჩვენებლები იმით არის განპირობებული, რომ ამაღლდა ადამიანთა შეგნება, მათი იდეური ცოდნის დონე. 200 კომუნისტი დასაქმებულია უშუალოდ გადამწყვეტ უბნებზე. ბრიგადირმა კომუნისტმა ზოთა საღარიშვილმა შარშან თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 13 ათასი კილოგრამი ჩაი მოკრიფა. კომუნისტმა ოთარ ხიმშიაშვილმა საკრეფი აპარატით — 17 ათასი კილოგრამი.

მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა, გასაკეთებელი უფრო მეტი გვაქვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასმული ამოცანები ჩვენი შემდგომი მუშაობის ქვაკუთხედი გახდება.

ი. რომანაძე.

ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

„ხორცის წარმოების გაღიდებაში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მეღორეობის ინტენსიურ განვითარებას, მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სახორცე ბალანსის ფორმირებაში"... — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე.

რესპუბლიკაში გარკვეული სამუშაოები ხორციელდება ღორის ხორცის წარმოების პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში.

ცხაკაიას მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო რაიონულ გაერთიანებაში სავესპოლოატაციოდ გადაეცა 2100 სული ღორის შესანახად განკუთვნილი სასუქებელი მოედანი. მეცხოველეები პირობას დებენ, რომ სახელმწიფოს 200 ტონა ღორის ხორცს მიჰყიდიან, გეგმით გათვალისწინებული 159 ტონის ნაცვლად.

გაერთიანების მეცხოველეებს წარმატების საფუძვლად მიაჩნიათ მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ახლა მეურნეობაში მიმდინარეობს მწვანე მასის დამზადება. საკვებმომპოვებლები პირობას დებენ, რომ წელს ჩადებენ 2 ათას ტონა სენაჟს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1500 ტონისა.

სურათზე: **გაერთიანების მეურნეობებში გაჩაღებულია საკვების დამზადება.**

გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ცხაკაიელ მეაბრეშუმეთა შრომითი წარმატება

ცხაკაიას რაიონის მშრომელები, მიუხედავად უამინდობისა და თუთის ფოთლის სმცირით გამოწვეული სიძნელეებისა, უპატაკებენ სამშობლოს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური დავალების წარმატებით შესრულებას. სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა 45.300 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 42.000 და ვალდებულებით ნაკისრი 45 ათასი კილოგრამისა.

ცხაკაიას ხეხილის სანერგე მეურნეობის მეაბრეშუმეებმა ჩქაროსნული მეთოდით გამოკვებეს ჭია და რაიონში ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ ოცი დღის წინ, უზრუნველყვეს სახელმწიფო გეგმის განადღება; მათ 821 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი დაამზადეს, რითაც დავალება 118 პროცენტით შეასრულეს. განსაკუთრებული ქების ღირსი არიან ლეძაძამელი მეაბრეშუმეები, რომლებმაც რაიონში ყველაზე მეტი — 4200 კილოგრამი ძვირფასი ნედლეული დაამზადეს.

რაიონის მეაბრეშუმეთა გამარჯვებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ნოქალაქელის თუთის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის, „რაიკოლმეურნეცხოველმრეწვის", ხორშის, კოლხეთის, გეკეთის, ტეხურის, კოტიანეთის, ზნეფის საბჭოთა მეურნეობების, ეკისა და ზანის კოლმეურნეობების მშრომელებმა.

ყოველივე ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ.

საადრეო კარტოფილი ჩრდილოეთის ტაიონებს

ბოლნისის რაიონის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, რომლებიც პრაქტიკული საქმეებით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ, ვადამდე შესასრულეს საერთო-საკავშირო ფონდში საადრეო კარტოფილის გაგზავნის სახელმწიფო გეგმა. ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში გაიგზავნა 21 ათასი ტონა კარტოფილი — გეგმაზე ათასი ტონით მეტი.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, რომლებმაც კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის კურსს ადგანან, იზრუნეს საადრეო კარტოფილის მინდვრების გულდასმით მოვლის, მოსავლის შენახვის, პროდუქციის ოპერატიული ტრანსპორტირებისათვის. აშენდა კარტოფილსაცავები, ახალი ბაქნები და მისასვლელი გზები.

ბოლნისის რაიონმა მარნეულის რაიონთან ერთად, რომელიც ასევე საადრეო კარტოფილის მოვლა-მოყვანაზეა დასპეციალებული, სამი წლის წინ 38 ათასი ტონა ძირხვენები მიიღო. შარშან საადრეო კარტოფილის მოსავალმა 44.800 ტონას მიაღწია. ხუთწლედის დამლევისათვის ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში დასახულია ამ პროდუქციის წარმოება გაზარდონ 78.500 ტონამდე., ხოლო საერთო-საკავშირო ფონდში გაიგზავნება 45 ათასი ტონა — თითქმის 10 ათასი ტონით მეტი, ვიდრე წელს არის გათვალისწინებული. (საქინფორმი).

მანქანათმშენებელთა წვლილი

პარტია ახალ ამოცანებს გვისახავს: კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა მივაწოდოთ ყველაზე ეფექტიანი, მძლავრი ტრაქტორები კიდული და მისაბმელი მანქანა-იარაღების საჭირო კომპლექტთან ერთად.

ცნობილია, რომ ჩვენს წარმოებაში მზადდება ჩაის საკრეფი ტექნიკა, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. ამიტომ საწარმოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მუდამ მის ზრუნვაშია, რომ სრულყოს მისი კონსტრუქცია და საიმედოობა. ამასთან დიდი რაოდენობით ვამზადებთ და ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკაში ვგზავნით სარწყავი დანადგარების სათადარიგო ნაწილებს. მათზე დიდი მოთხოვნილებაა განსაკუთრებით რსფს რესპუბლიკაში, უკრაინაში, მოლდავეთში, ყაზახეთში და სხვაგან.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი შეფობას უწევს სამგორის მევენახეობის მეურნეობას. გარდა სასოფლო ტექნიკის შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფისა, ჩვენ მოსავლის აღებაშიც ვეხმარებით.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდი პროგრამის განხორციელება, რომელიც ივლისის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დაგვისახა, ყველას ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

უ. კიკნაძე.

სოფლის მეურნეობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

წარმოების საფუძველი

ბიგანტელთა მაგალითით

მაიაკოვსკის რაიონის მეცხოველეებმა გიგანტელთა მაგალითსამებრ თართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება წლევანდელი და მთლიანად ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებების უთუოდ შესრულებისათვის. მათ გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა. ნაცვლად 1490 ცენტნერისა დამზადებულია 1587 ცენტნერი ხორცი; ნაცვლად 7400 ცენტნერისა — 8056 ცენტნერი რძე.

ეს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ჩარქსელიანმა.**

გეგმა-ვალდებულება შესრულებულია

ზუგდიდის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა 30 ივნისისათვის გადამეტებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა-ვალდებულება; ნაცვლად 1513 ტონისა მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 1520 ტონა ფოთოლი. ნედლეულის 75,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ასევე გადამეტებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმა-ვალდებულებები. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა განადღებულია 115,7 პროცენტით, ხორცისა — 200 პროცენტით. მეურნეობაში გიგანტელთა მაგალითით გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებების ადრეა უფრო შესრულებისათვის. ეს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს **მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა კომიტეტებმა.**

მთავარია ვადებს არ ჩაგოვრჩეთ

საქართველოს მეჩაიეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ ამ პლენუმზე. მეჩაიეები პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ შეჯიბრებას უხვი მოსავლისათვის, ძლევენ უამინდობით გამოწვეულ სიძნელეებს. მეჩაიეებმა, რომლებიც მუშაობის პროგრესულ მეთოდებს იყენებენ, შეძლეს მოკლე ვადაში დაეძლიათ ჩამორჩენა და რეკორდული, 1977 წლის მიჯნებზე გასულიყვნენ.

ახლა მიმდინარეობს ბუჩქების მეორე ეტაპიანი. მთავარია, არ ჩამოვრჩეთ ვეგეტაციის დამთავრების ვადებს, გაეძლიეროთ კონტროლი დუყის მდგომარეობისათვის და დროზე დავიწყოთ ჩაის კრეფა.

გაერთიანება „საქართველოს ჩაის" მონაცემებით რესპუბლიკაში 5 ივლისისათვის შეხვედულია ჩაის ფოთოლი (ტონა):

ავტონომიური რესპუბლიკები, რაიონები, ქალაქების ზონები	დამზადებულია სულ სულონის დამდეგისად	მოკრეფილია ამ დღეში
აფხაზეთის ასსრ	37.385	224
აჭარის ასსრ	28.626	61
მაზარაძის	42.000	193
ზუგდიდის	25.704	344
წალენჯიხის	11.307	65
გეგეჭკორის	10.887	101
ლანჩხუთის	11.219	17
ჩხოროწყუს	9.967	91
ქ. წყალტუბოს ზონა	5.968	8
ჩოხატაურის	7.028	68
ცხაკაიას	5.127	74
წულუკიძის	4.585	52
ქ. ტყიბულის ზონა	5.055	45
ხობის	4.255	23
სამტრედიის	1.308	3
აბაშის	451	23
თერჯოლის	606	—
ქ. ჭიათურის ზონა	538	—
ვანის	374	5
სულ რესპუბლიკაში	212.228	1.463

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

7 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ საკითხი: მუშაობის ორგანიზაცია „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებისა და იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება და მითითებები, რომლებიც მოცემულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა სისტემატური კონტროლი დაუწესოს იმას, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

სხდომაზე აგრეთვე განხილულ საკითხი 1978-1980 წლების ღონისძიებათა სისტემის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას და ხუთწლიანი გეგმის შესრულებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მოსთხოვა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი. გაძლიერონ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპი და ამაღლონ მისი ეფექტიანობა, უზრუნველყონ 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება და მთელი ხუთწლიანი გეგმის განადღება.

გარდა ამისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეასახებ მიღებული კანონის საფუძველზე კანონიკა პროექტები დადგენილებებისა „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ" და „სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების უფლებათა დამატებითი გაფართოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ".

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გულდასმით შეისწავლონ აღნიშნული პროექტები საწარმოო გაერთიანებების, სარეწველო საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, და წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. (საკდესი).

საუბარი კრემლში

7 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ლე თხან ნგი, რომელიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXII სხდომიდან სამშობლოში მიემგზავრება და გზად გამოიარა მოსკოვში.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, გაამართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ სხვა პრობლემებზე.

საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ნიადაგ უჭერს მხარს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც იღვწის მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისათვის, ქვეყნის უშიშროების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის.

ლე თხან ნგიმ გულწრფელი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, მომეგ საბჭოთა ხალხს ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმის აქტიური მხარდაჭერისათვის.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფოო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ხიე ჭხიეუ. (საკდესი).

მეგადურთა დღესასწაული

ზღვებში, ტბებსა და მდინარეებში ეწევიან რეწვას საბჭოთა მეგადურები. მოწინავე ეკიპაჟები, საწარმოების კოლექტივები, კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ მიმდინარე წლის დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს, ამაღლებენ მუშაობის ხარისხს.

7 ივლისს მოსკოვში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა პროფესიული დღესასწაულს — მეგადურის დღეს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე თ. ი. ზოჩილინი, წარმოების მოწინავენი.

მომხსენებელმა — სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრმა ა. ა. ბუკოვმა და გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, რომ დარგის მშრომელები ისწრაფვიან უფრო ეფექტიანად გამოიყენონ შინაგანი რეზერვები. დაიჩქარონ თევზის მეურნეობის განვითარება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

(საკდესი).

მინისტრები თათბირობენ

7 ივლისს მოსკოვში გაიხსნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის მინისტრების მორიგი IX თათბირი.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა პ. ნ. დემიჩევმა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მისალმა მოძმე ქვეყნების დელეგაციებს და უსურვა წარმატებანი. (საკდესი).

გამოუშვა პოლიტგამოცემლობამ

ცალკე ბროშურად გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ". ბროშურაში შეტანილია აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1978 წლის 4 ივლისს მიღებული დადგენილება.

პოლიტგამომცემლობის მიერ მასობრივი ტირაჟით გამოშვებული ბროშურა დაიბეჭდა მოსკოვის სტამბა „კრასნი პროლეტარში".

თანამშრომლობის ორბიტა

პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

ბრძოლიდან კოსმოსური სივრცის კვლევა სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული მეცადინეობით. ამას ნათლად მოწმობს „სალუტ-6“-„სოიუზ-29“-„სოიუზ-30“ ორბიტულ კომპლექსში წარმატებით დამთავრებული საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ექსპედიცია. ამ მოვლენას მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც 7 ივლისს გაუმართეს მოსკოვში საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს.

პრესის წარმომადგენლებთან შესახვედრად მოვიდნენ თვლსაჩინო საბჭოთა და პოლონელი მეცნიერები, კოსმონავტთა მზადების ხელმძღვანელები, საბჭოურ-პოლონური ეკიპაჟის წევრები — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი პ. კლიმუკი და საბჭოთა კავშირის გმირი პოლონეთის ჯარის მაიორი ზ. გერმაშევსკი.

უკანასკნელი შვიდი თვის მანძილზე ბაიკონურის კოსმოდრომიდან 5 პილოტირებული კოსმოსური ხომალდი „სოიუზი“ და ავტომატური სატვირთო ხომალდი „პროგრეს-1“ გაგიდა კოსმოსში. ამ კოსმოსური აპარატების საკონსტრუქტორო ბიუროებისა და ქარხნების საამქროებში შექმნა, კოსმოდრომებზე მათი მომზადება და დაშვების უზრუნველყოფა, რთული ფრენის მართვა — ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მუშებისა და კოსმონავტების მრავალათასიანი კოლექტივების თავდადებული გმირული ბრძოლის მეოხებით.

პოლონელ ხალხს, რომელმაც მსოფლიოს შესანიშნავ სწავლულთა მთელი პლეადა მისცა, ახლა თავისი კოსმონავტიც ჰყავს, თქვა აკადემიკოსმა ბ. პეტროვმა. ჩვენ მობრძოლი ვართ დღეს მივესალმოთ ახალ საერთაშორისო ეკიპაჟს, მოხარული ვართ მივულოცოთ საბჭოთა და პოლონელ ხალხებს მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებაში მიღწეული ახალი წარმატება.

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. რიხლევსკიმ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას თქვა, რომ სახალხო პოლონეთი, როგორც დიდი კულტურული და მეცნიერული ტრადიციების ქვეყანა, ორმაგ არის დაინტერესებული კოსმოსური კვლევის გაააქტიურებით. ახლანდელი ფრენა, ხაზგასმით აღინიშნა მეცნიერმა, ჩვენთვის, პოლონელებისათვის, ბედნიერი შემთხვევაა იმისა, რომ სრული ზომით განვაცხადოთ: საბჭოთა კავშირი უანგაროდ ახმარს მომძმე ხალხებს თავის მეცნიერულ და ინჟინრულ პოტენციალს, თავის მეცნიერთა და ინჟინერთა ნიჭსა და გარჯას. „ინტერკოსმოსის“ პროგრამის წარმატების საფუძველია საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარება, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებს ყველაფერს აძლევს კოსმოსური კვლევისათვის.

საბჭოურ-პოლონური ეკიპაჟის მეთაურმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა პოლკოვნიკმა პ. კლიმუკმა ილაპარაკა „სოიუზ-30“ ხომალდზე კოსმონავტთა მიერ შესრულებული ფრენის ეტაპების, ორბიტულ სამეცნიერო კომპლექსში გაწეული მუშაობის შესახებ.

„სოიუზ-30“-ის ეკიპაჟს, თქვა კოსმონავტმა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დაუვიწყარმა მოგზაურობამ, რომელიც კოსმოსში მოხდა 6 ივლისს. ჩვენ ორმაგ ჩაგვწვდა გულში ის მაღალი შეფასება, რომელიც ჩვენს მუშაობას მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა „მთავრობის მაღალი ჯილდოების გადმოცემისას.

მე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეს, თქვა ზ. გერმაშევსკიმ, დამდეს დიდი პატივი მონაწილეობა მიმეღო „სოიუზ-30“ ხომალდით კოსმოსური რეისის შესრულებასა და „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტულ სამეცნიერო კომპლექსზე სამუშაოთა მოწყობაში. ეს ერთობლივი ფრენა ლოგიკური განგრძობაა იმ გზისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა თავისი აღორძინების 34 წლის მანძილზე, შედეგია წარმატებებისა, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობამ მიაღწია.

შემდეგ კოსმონავტებმა და მეცნიერებმა უპასუხეს ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას.

(საკდესი).

ეს ჩვენი ღირსების საქმეა

ბეშმარიტად უდიდესი აღფრთოვანების და სიამაყის გრძნობა განგვაცდევინა ახლახან პრესაში გამოქვეყნებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“. პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ და დადგენილება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეეფერების ზრუნავს ჩვენი პარტია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, როგორ იბრძვის ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ **„სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს უნდა შეესაბამებოდეს პარტიული ხელმძღვანელობის უფრო მაღალი დონეც, მასებში ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის უფრო სრულყოფილი მეთოდები“.** როგორც ვხედავთ, პლენუმის დადგენილების შესასრულებლად ერთ-ერთი, მთავარი როლის შესრულება პარტიული ხელმძღვანელობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის თვით პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის რაიკომებს აკისრიათ. ჩვენი მოქმედების ქვაკუთხედი არის და უნდა იყოს მუშაობის ლენინური სტილის დაუფლება.

როგორ მიმდინარეობს ჩვენს რაიონში ამ მხრივ საქმე? რა ყოფილა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის?

რა თქმა უნდა, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგები უპირველეს ყოვლისა სამეურნეო წარმატებებით იზომება. ამ მხრივ შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ ამ ბოლო წლებში და ამჟამადაც, საქმე ურიგოდ არ მიდის. დადამტებით შევასრულეთ მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, კვერცხისა და მატყლის წარმოებისა და დამზადების ნახევარი წლის გეგმები, კარგი პირი უჭირს პურეულის მოსავალს, რომლის აღება ჩვენც იპატიოსანლა მეთოდით დავიწყეთ. სამუშაოების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის შეექმენით მოსავლის ასაღებსაბინაო 9 რგოლი, მობილიზაცია გავუკეთეთ 100-ზე მეტ ავტომაქანას, 40-მდე კომბაინს, 32 წნეხამკრეფს. დამტკიცებულია მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკები, რომელთა მიხედვით მოსავლის აღებას 10-11 სამუშაო დღეში დავამთავრებთ. ადგილებზე შევიმუშავეთ მოსავლის აღებაზე დასაქმებული მუშაკთა მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები და საშუალებები.

როგორც პლენუმის დადგენილებაშია აღნიშნული, ჩვენ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კალოებზე და მოსავლის აღების ადგილებზე კომბაინერთა და მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას, მის საჯაროობას, მოწინაეთა გამოცდილებისა და შრომითი მიღწევების გავრცელებას, „ელვა“ გაზეთების გამოშვებას, აგიტბატარეული ბრიგადებისა და სხვა მხატვრული კოლექტივების გამოსვლებს.

ამჟამად ჩვენი აგიტატორების, რაიკომის ლექტორების, პოლიტინფორმატორების, საზოგადოება „ცოდნა“ წევრების საუბრებსა და გამოსვლებში სხვა საკითხებთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებისა და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას, პლენუმის მასალების პროპაგანდას. რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკები მშრომელებს ფართოდ განუმარტავენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ძირითად არსს, ფართო ადგილს უთმობენ იპატოვიოლთა თაოსნობის როსტოვის ოლქის სალსკის რაიონის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ კოლექტივის ინიციატივის და ამ კოლექტივისადმი ლ. ი. ბრეჟნევის გაგზავნილი წერილის უდიდეს მნიშვნელობას, საუბრობენ სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობაზე, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებაზე.

თავთავიანი კულტურების დროულად აღებისა და დაბინავების მიზნით შეიქმნა ოპერატიული ხელმძღვანელობის რაიონული შტაბი. მოსავლის აღების გადამწყვეტ უბნებზე გაიგზავნენ პარტიის რაიკომის მეიროსა და რაისაბჭოს აღმასკომის წევრები.

განხორციელებულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა მოგვცა კიდევ ერთი სათანადო ეფექტი. შეუფერხებლად მიმდინარეობს როგორც მოსავლის აღება და დაბინავება, ასევე ნამჯის დაწნეხვა, მისი გამოტანა და დაზვინვა, მზრალად ხვნა და თესვა. მოსავალს კარგი პირი უჭირს: უკვე მომკილია 1.000-მდე ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე 23 ცენტნერ მოსავალს ვიღებთ. კომბაინები მალე საუკეთესო უანებში გადანაცვლებენ და საჰექტარო მოსავლიანობაც, ცხადია, მოიმატებს.

ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ მარცვლეულის დამზადება წლეულს ნაცვლად გვგმით გათვალისწინებული 5.400 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 5.500 ტონისა, 5.000 ტონამდე გავზარდოთ.

რადგან ახალ ვალდებულებაზე დავიწყეთ საუბარი, დავასახელებთ ციფრებს, რომელთა მიღწევა ჩვენ, მშრომელებს, პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს მოგვაჩნია რეალურად, ამასთან ჩვენი ღირსებისა და პატივიანის საქმეც არის.

წლეულს მივიღებთ 1.400 ტონა ბაღეჩეულს ანუ გეგმა-დავალებაზე 110 ტონით მეტს, 4,4 მილიონი ცალი კვერცხის ნაცვლად — 4.6 მილიონს, მატყლს ნაცვლად 670 ცენტნერისა — 750 ცენტნერს, წარმატებას მივაღწევთ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის საქმეშიც, დაუღალავი მუშაობით უზრუნველვყოფთ შრომის ზუსტ რიტმს, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მაღალმწარმოებლურ გამოყენებას, მიღებული პროდუქციის უმაღლეს ხარისხს. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის შევქმნათ წვნიანი და უხვი საკვების წლიანხვეროს მარაგი. საკვები მარაგის შეივსების მიზნით დავთესავთ სანაფურეულო და მეორად კულტურებს.

რამდენიმე სიტყვა ვენახის შესახებ. ვაზი ჩვენი რაიონისათვის წმყვანი კულტურაა და ამდენად იგი რაიონის ეკონომიკისათვის განსაზღვრელია. დღეისათვის ბას 9.200 ჰექტარზე მეტი ფართობია, უახლოეს ეტაპებზე ეს მისი ფართობი 14.000 ჰექტარამდე მოიმატებს. მეფეურობა განვითარებისათვის ეს ფართე ეს ხალხის, მშრომელი ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვაა.

წლეულს, მიუხედავად უამინდობისა, შევძელით, დროულად ჩავეგეტარებინა ყოველგვარი სამუშაო — ფურჩვნა, ძირების გამოთოხნა, კულტივაცია, განსაკუთრებული უურადღება მივაქციეთ ვაზის წამლობის ხარისხს. ასე რომ, დღეისათვის სანიშნოდ მოვლილი ვაზი კარგ მოსავალს გვპირდება და ჩვენც ამაყოფილნი ვართ იმისა, რომ ჩვენს პარტიას, მთავრობას, სამშობლოს მივცეთ უფრო მეტი ყურძენი ვიდრე წინათ ვიგულისხმეთ, სახელმწიფოს ნაცვლად 39.000 ტონისა და ადრინდელი ვალდებულებით 38.200 ტონისა, მივაყოდოთ 40.000 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ხუთწლედის ყველა დავალებათა წარმატებით განადგურდა ეს ყვარლის რაიონის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების, თითოეული ყვარელელი მშრომელის ღირსებისა და ავტორიტეტის საქმეა და ნათქვამ სიტყვას შეგასრულებთ.

რ. ურჯუმელაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

ქუთაისიდან — ციმბირს

„ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის შეკვეთებს — მწვანე გზა“ — ამ დევიზით მუშაობს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლექტივი. დღეს ჩვენი ქვეყნის შორეულ მხარეში დაკრის ქართული „კოლხეთის“ მარკის მანქანები.

სურათზე: საპატიო ხუთკუთხედიანი კაზ-608-ვ. საწევრები, რომლებიც მზად არიან ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად.

მ. ბერსამეს ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნათელი ორიენტირი

ფრიდრიხ ენგელსის „ანტი-დიურინგის“ გამოქვეყნების მე-100 წლისთავი

100 წლის წინათ გამოქვეყნდა ენგელსის ნაშრომი „ანტი-დიურინგი“. ამ შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავისი სტრუქტურითა და შინაარსით. მასში გადმოცემულია მარქსიზმის, სამი შემადგენელი ნაწილი მის სამ ფაზისთან მიმართებაში. „ანტი-დიურინგი“ სამი განყოფილებისაგან შედგება. პირველში გადმოცემულია მარქსისტული ფილოსოფია; მეორეში — პოლიტიკური ეკონომია და მესამეში — მეცნიერული სოციალიზმის თეორია. ამ შრომის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „აქ განხილულია ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი საკითხები... ეს გასაოცრად შინაარსიანი და საგულისხმო წიგნია“.

„ანტი-დიურინგის“ შექმნის წინა პერიოდში ენგელსი მუშაობდა „ბუნების დიალექტიკაზე“. ოთხი წლის დაწყებული ჰქონდა ეს შრომა, როდესაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმა შესთავაზეს გაელაშქრა ევგენი დიურინგის წინააღმდეგ, რომელსაც ჰქონდა მეცნიერებაში გადატრიალების და „ახალი უნივერსალური“ თეორიის შექმნის პრეტენზია. დიურინგს გამოუჩდნენ მომხრეები სოციალ-დემოკრატიის რევიზიონისტულ ჯგუფებში. როგორც ენგელსი აღნიშნავს, სოციალ-დემოკრატიის ერთიანობას საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ იძულებული იყო დათანხმებოდა მიღებულ წინადადებას. რადგან დიურინგის თეორია ფართო ასპარეზს მოიცავს (ბუნებით დაწყებული აზროვნების ჩათვლით), ფ. ენგელსიც იძულებული იყო ყველა ამ სფეროში დაეპირისპირებინა მისთვის მარქსისა და საკუთარი შეხედულებანი. ამ გარემოებამ „საბაბი მოსცა, — წერს ენგელსი, — ჩემი შეხედულება... მრავალ სხვადასხვა დარგში პოზიტიურად გამეთვალწინებინა... თუმცა ამ თხზულებას სრულიად მიზანადაც არა აქვს ბატონი დიურინგის „სისტემას“ სხვა სისტემა დაუპირისპიროს, მაინც იმედია მკითხველს არ გამოეპარება შინაგანი კავშირი ჩემ მიერ წამოყენებულ შეხედულებებში“.

ამდენად შრომა მარქსისა და ენგელსის მსოფლმხედველობის ერთობლივი გადმოცემაა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მარქსის მტრებმა ბეერჯერ სცადეს მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა დაპირისპირება. რუსმა მახისტებმა ენგელსის „ანტი-დიურინგი“ დაუპირისპირეს მარქსის თეზისებს ფოიერბახის შესახებ. ამ არგუმენტაციას სხვადასხვა ვარიანტით დღესაც იმეორებენ. ყოველივე ამის უარსაყოფად აუცილებელია, ერთ-ერთ ამ ვარიანტზე ვიცოდეთ ის, რომ მარქსი დაბეჭდვამდე გაეცნო ენგელსის შრომას, დათანხმა მის ყველა პრინციპს და ერთი თავი ამ შრომისათვის თვითონ დაწერა.

„ანტი-დიურინგის“ პირველი განყოფილება ფილოსოფიას ეხება; მასში გადმოცემულია დიალექტიკური მატერიალიზმის ყველა საკვანძო საკითხი. ფ. ენგელსი გამიჯნავს მარქსისტულ მატერიალიზმს მარქსამდელისაგან, აჩვენებს იმ საბაბებს, რაც ფილოსოფიის გაგებაში შეიტანა მარქსისტულმა ფილოსოფიამ. თუ აქამდე ფილოსოფია მოვლენათა შორის კავშირებს ამრიგორულად აგებენდა და შემდეგ სამყაროს ზომაედა ამ ამრიგორული პრინციპების მიხედვით, მარქსისტულმა ფილოსოფიამ კავშირის ფორმები თვით სამყაროშივე აღმოაჩინა და ამით ფილოსოფია მეცნიერული გახდა.

ენგელსი აკრიტიკებს სამყაროს ერთიანობის ახსნას, რომლის მიხედვითაც ეს ერთიანობა გამოყვანილია აზროვნებიდან, ან კიდევ სამყაროს არსებობიდან. შეუძლებელია აზროვნების ერთიანობით აიხსნას სამყაროს ერთიანობა. ასევე შეუძლებელია სამყაროს არსებობა იყოს მისი ერთიანობა, თუმცა სამყაროს ერთიანობის წინაპირობაა მისი არსებობა. სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მის მატერიალობაშია. ენგელსი აჩვენებს, რომ სამყარო უსასრულო დროსა და სივრცეში და რომ დრო და სივრცე ყოფიერების ძირითადი ფორმებია.

ყოფიერების პრობლემების განხილვას ავსებს განსოლოგიური პრობლემატიკა. სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა. ენგელსი ამტკიცებს, ადამიანი ბუნებისმეტყველებაში ეყრდნობა ექსპერიმენტებსა და ადამიანის ინდივიდუალურ ცხოვრებაში, ეს ორივე ბუნებრივ ბაზისია, ეს ორივე ბუნებრივ ბაზისია, ეს ორივე ბუნებრივ ბაზისია

წამყვანი თემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები საზღვარგარეთის პრესის კვლავ ერთ-ერთი წამყვანი თემაა. პრესა აღნიშნავს, რომ პლენუმი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა ცხოვრებაში და ხაზს უსვამს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ", პლენუმის დადგენილება შეიცავს საბჭოთა სოფლის მეურნეობაში საქმის ვითარების ღრმა, ობიექტურ და ყოველმხრივ ანალიზს. პლენუმმა, აღნიშნავენ მომხსენებელები, დასახა საბჭოთა სოფლის მეურნეობაში საქმის ვითარების ღრმა, ფართო პერსპექტივები, აღნიშნა მომწიფებული პრობლემების გადაჭრის გზები, გამოავლინა არსებული სიძნელეები და ნაკლოვანებები.

ამავე დროს საზღვარგარეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოხსენებას „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის პროექტის თაობაზე". პრესა აღნიშნავს, რომ ახალ საბჭოთა კანონს საფუძვლად უდევს საბჭოთა მთავრობის ორგანიზაციისა და საქმიანობის ლენინური პრინციპები, ხოლო კანონპროექტის მომზადებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებსა და მითითებებს საბჭოთა საზოგადოების, საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის განვითარების საკითხებზე.

სოლიდარობა, თანამშრომლობა

ბუქარესტი, 7 ივლისი. (საკ-დესი). „მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ნიშნით" — ამ სათაურით გამოაქვეყნა „სკინტეიამ" დღეს სტატია, რომელიც საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მერვე წლისთავს ეძღვნება.

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში, წერს „სკინტეია", გადამწყვეტ როლს ასრულებს რუმინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოლიდარული კავშირი და ამხანაგური თანამშრომლობა, კონტაქტები ორი ქვეყნის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებს შორის. ამ თვალსაზრისით უაღრესად დიდი მხიბვნელობა ეხიბება ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ჩაუშესკუს შეხვედრებს, ახლო გახიარებას და მიღწეულ მორიგებებს, რაც მუდმივ იმპულსს აძლევს რუმინეთ-საბჭოთა კავშირია მეგობრულ თანამშრომლობას, ახალ შესაძლებლობათა ძიებას ორივე ძმაბინისათვის ხელსაყრელი ურთიერთობის დარგში. განცხადებამ რუმინეთია კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისა და ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელსაც 1976 წლის იანვარში მოაწერეს ხელი ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა ორი ქვეყნის, პარტიებისა და ხალხების ყოველმხრივი თანამშრომლობა.

გაზეთი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიკური ურთიერთობა. ჩვენს მეგობრობასა და თანამშრომლობაში, განაგრძობს „სკინტეია" წვლილი შეიქმნა კონტაქტებია და გაცვლას მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების, განათლების დარგში, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დელეგაციების ორმხრივ ვიზიტებს.

ხელშეკრულების წლისთავთან დაკავშირებით, წერს დასასრულ გაზეთი, რუმინელი ხალხი მხურვალე ძმურ სალამს უთვლის საბჭოთა ხალხს და სულით და გულით უსურვებს ახალ დიდ წარმატებებს კომუნიზმის აშენების საქმეში, სამშობლოს აყვავებისა და წინსვლის უზრუნველყოფაში.

გადაჭრით გმობენ

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის განცხადება

□

იმპერიალისტური რეაქციის ძალების ხრიკების შედეგად უკანასკნელ ხანს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში დაძაბულობის ახალი კერა იქმნება. ამ რაიონში მიმდინარე ამბები ეჭვს არ იწვევს, რომ ადგილობრივმა რეაქციულმა წრეებმა, რომლებსაც საუდის არაბეთი უდგას სათავეში და საერთაშორისო იმპერიალიზმი აქეზებს, მტრული კამპანია წამოწყეს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის — იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელმაც განვითარების დემოკრატიული პროგრესული გზა აირჩია.

დაიწყო დემოკრატიული იემენის, მისი მშვიდობიანი და მშრომელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დისკრედიტაციის კამპანია. იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მტრების განსაკუთრებული გაავფრება და გულისწყრომა გამოიწვია ამ ქვეყანაში კონსტრუქციული გადატრანსფორმაციების ცდების ჩაფუშვამ. ახლა რეაქცია ცდილობს მოვლენათა განვითარება საბჭოთა ესკალაციის კალაპოტში მოაქციოს, რისთვისაც შანტაჟსა და ძალით დამუქრებას მიმართავს.

იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გარშემო პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის გაძლიერების პირობებში დემოკრატიული იემენის ხალხი და ხელმძღვანელობა დიდ სიმტკიცესა და სიფხიზლეს იჩენს და ადასტურებს თავის გულწრფელ მისწრაფებას აცხოვროს რეგიონის ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად, რისთვისაც ეხერგიულ ღონისძიებებს ახორციელებს წარმოშობილი კრიზისის დაძლევისა და ვითარების ნორმალიზაციისათვის.

დემოკრატიულ იემენზე დაუსაბუთებელი თავდასხმები შეცდომაში ვერ შეიყვანს არაბთა და საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს. იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის მრავალი წლის ვეკაცურმა ბრძოლამ კოლონიალიზმის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის, მისმა წვლილმა იმპერიალიზმის, სიონიზმისა და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ მთელი არაბეთის ბრძოლაში დემოკრატიულ იემენს მაღალი ავტორიტეტი და გულწრფელი პატივისცემა მოუხვეჭა იმათ შორის, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლებისა და მშვიდობის იდეალები.

საბჭოთა ადამიანები გადაჭრით გმობენ დემოკრატიული იემენის საწინააღმდეგო ძირგამომთხრელ მოქმედებასა და შეთქმულებებს. იმპერიალისტურ და რეაქციულ წრეებს, რომლებიც ამ სუვერენულ რესპუბლიკას ეშურებიან და ცდილობენ პროგოკაციულად გამოიწვიონ ძმათამკვლელი კონფლიქტი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, შექმნან საერთაშორისო დაძაბულობის კიდევ ერთი საშიში კერა.

იმ წრეებს, რომლებიც დღეს დემოკრატიული იემენის გარშემო დაძაბულობას აძლიერებენ და შეიარაღებულ პროვოკაციებს აწყობენ, უნდა ახსოვდეთ, რომ იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს მხარს უჭერენ თანამედროვეობის მძლავრი ანტიიმპერიალისტური ძალები, მშვიდობისა და პროგრესის ძალები.

კარიკატურისტის კომენტარი

ამერიკის აღმინისტრაცია არ იშურებს ლამაზ ფრაზებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების თაობაზე, მაგრამ ამავე დროს ხარეკორდო თანხებს ხარჯავს მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის წარმოებისათვის (გაზეთებიდან).

სახიფათო ჟონგლიორობა.

ბ. ლომიძის ნახატი.

ქართული ორკესტრი ფინეთში

ჰელსინკი, 7 ივლისი. (საკდესი). ფინეთში დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული კამერული ორკესტრის კონცერტმა. ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო ტამპერეს ფესტივალში, რომელიც ქალაქ ტუბაისკიულში გაიმართა. ეს ქალაქი მდებარეობს ცენტრალური ფინეთის თვალწარმტაცი ტბების მხარეში.

მუსიკალური კრიტიკოსები, ფინეთის პრესა აღნიშნავენ ორკესტრის მაღალ სამუსიკოსლებლო ოსტატობას დირიჟორ იდუარდ სანანეიშვილთან, საქართველოს სსრ დამსახურებულ ხელმძღვანელობით, საქართველოს სსრ დამსახურებულ artისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, გამორჩენილი კომპოზიტორის ია სიბელიუსის სახელობის მეგიოლინეთა კონკურსის გამარჯვებულის ლიანა ისაკაძის ვირტუოზულ დაკვრას.

ჰეგემონისტური პოლიტიკა

ტოკიო, 8 ივლისი. (საკლესი). იაპონიის გავლენიანმა გაზეთმა „სანკეი სიმბუნმა" გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელშიც ყურადღებას მიაქცევს ჩინეთის ხელმძღვანელობის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას და აცხადებს, რომ იაპონიას ეიუქრება ხერიოზული საფრთხე ჩინეთისა და მოჩინდეს პეკინის ანტისაბჭოურ სტრატეგიაში.

21 ივლისს დასახულია განახლდეს იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება „მშვიდობისა და მეგობრობის" ხელშეკრულების დადების შესახებ, წერს გაზეთი. მაგრამ თუ პეკინის მოქმედებას დავაკვირდებით. დარწმუნდებით, რომ ჩინეთი ჰეგემონისტურ პოლიტიკას ახორციელებს. „სანკეი სიმბუნი" წერს: ჯერ მოლაპარაკება არ დაწყებულა, და ჩინეთის ხელმძღვანელები ამთავითვე მოითხოვენ, რომ ხელშეკრულებაში შეეტანოთ მუხლი „ჰეგემონიის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის შესახებ", რაც აშკარად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული.

ანტისაბჭოელი ვიზიტიორი პეკინში

პეკინი, 7 ივლისი. (საკდესი). აქაურ ინფორმრებულ წრეებში ამტკიცებენ, რომ ჩინეთში კერძო ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე იუჯინ როსტოუ, რომელიც ამჟამად მეთაურობს რაღაც კომიტეტს „ამერიკის შეერთებული შტატებისათვის არსებული საშიშროების" საკითხებზე.

იმავე წრეებში ამტკიცებენ, რომ ი. როსტოუს ჰქონდა დენსიაო-პინთან შეხვედრები, რომელთა დროს თანამოსაუბრეებმა განიხილეს საკითხები იმის თაობაზე თითქოს საბჭოთა კავშირი საფრთხეს უქმნიდეს ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს.

ჩინეთის ლიდერებმა შემთხვევით როდი მიიწვიეს ი. როსტოუ პეკინში, რამდენადაც მათ კარგად იციან, თუ რა შეხედულებანი აქვს ამ პირწავარდნილ ანტისაბჭოელს, რომელიც თვითონ მიაკუთვნებს თავისთავს საბჭოთა კავშირის მტრებს.

ლიბანი
აძლიერებენ დაძაბულობას

ბეირუთი, 7 ივლისი. (საკლესი). ისრაელის მხედრიონი აშკარად ერევა ლიბანის საშინაო საქმეებში. ტელ-ავივის რადიო იუწყება, რომ ისრაელი თავის ჯარებს თავს უყრის ლიბანის საზღვრის რაიონში, აგრეთვე გოლანის მაღლობებზე „შემზღუდველი მასშტაბის პრევენტულ ღონისძიებათა" მიზნით. ისრაელის ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენები გამდგომებით იკრებიან ლიბანის საჰაერო სივრცეში, დაფრინავენ ბეირუთის თავზე. ტელ-ავივის პროვოკაციულ მოქმედებას თან ახლავს ოფიციალურ პირთა განცხადებები იმის შესახებ, რომ ისრაელი არ აპირებს „გულხელდაკრეფილი იჯდეს" და არ ტოვებს დაუზმარებლად თავის მემარჯვენე ქრისტიანულ აგენტურას ლიბანში. ასე განაცხადეს თავდაცვის მინისტრმა ვეიცმანმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის წარმომადგენელმა.

ტელ-ავივმა პროვოკაციულად გამოიწვია შეიარაღებული შეტაკებები მემარჯვენე ქრისტიანულ შენაერთებსა და ლიბანში დისლოცირებულ არაბული ქვეყნების მშვიდობის ხელშემწყობ ძალებს შორის, რომელშიც სირიის ჯარები შედიან, ახლა კი მზოლოდ საბაბს ელოდება ახალი აგრესიის წამოსაწყებად.

ITALIA

პრეზიდენტი აირჩიეს

□

მთელი დემოკრატიული ძალების თანამშრომლობისა და სოლიდარობის გამარჯვება

რომი, 8 ივლისი. (საკდესი.). სოციალისტი ალესანდრო პერტინი იტალიის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი გახდა, დღეს აქ გაართულ პრეზიდენტის არჩევნების მე-16 ტურში, რომელშიც პარლამენტის წევრები და იტალიის ოლქების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მან კენჭისყრის მონაწილე 995 ამრჩევთაგან 832 ხმა მიიღო.

ა. პერტინის ხმა მისცეს კომუნისტური, ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური და საპარლამენტო უმრავლესობის სხვა პარტიების წარმომადგენლებმა. წინააღმდეგ ხმა მისცეს პრაქტიკულად მხოლოდ ნეოფაშისტებმა.

ა. პერტინი დაიბადა 1896 წლის 25 სექტემბერს. განათლებით იურისტია. 1918 წელს შეიქმნა იტალიის სოციალისტურ პარტიაში, 1927 წელს ანტიფაშისტური საქმიანობისათვის — 11 წლის პატიმრობა მიესჯა. აქედან 7 წელი საპყრობილეში გაატარა, მერე კი 8 წლით გადაასახლეს.

1943 წელს, ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ იგი გაათავისუფლეს და შეუდგა სოციალისტური პარტიის აღდგენას. აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიზანულ ბრძოლაში.

1945 წლის აპრილ-დეკემბერში ეკავა იტალიის სოციალისტური პარტიის მდივნის პოსტი.

1946 წლიდან მას სისტემატურად ირჩევდნენ პარლამენტის შემადგენლობაში. 1968-1976 წლებში ა. პერტინი პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე იყო.

პრეზიდენტის არჩევნები იტალიაში ვადამდე მოეწყო პრეზიდენტ ჯ. ლეონეს გადადგომის გამო, რომელიც იძულებული გახდა გადამდგარიყო მას შემდეგ, რაც ბრალად დასდეს, რომ თავი არიდებდა, გადასახადის გადახდას და გაურეული აღმოჩნდა „ლოკჰიდის სკანდალში.

იტალიის კომპარტიის სახელით პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა ქმაყოფილება გამოთქვა ა. პერტინის პრეზიდენტად არჩევის გამო. დღევანდელ კენჭისყრაზე, აღნიშნა ე. ბერლინგუერმა, მთელი დემოკრატიული ძალების თანამშრომლობისა და სოლიდარობის ნამდვილი გამარჯვებაა.

რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი ფიცს ხვალ დადებს.

UNITED STATES AUTHORS ABROAD

კაპიტალის სამყარო: ფეხქვეშ გათელილი უფლებები

ძალადობის სიავისუფლება

მერიკის უნივერსიტეტებში ბრძოლდება გამოსვლები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკისა და იმ მხარდაჭერის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უწევს თეთრკანიანი უმცირესობის რასისტულ რეჟიმს. კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბერკლში გამართეს მიტინგი. ისინი ამ სასწავლებლის ადმინისტრაციისაგან მოითხოვდნენ იმ ბანკებთან და კორპორაციებთან კავშირის შეწყვეტას, რომლებიც პრეტორიის რეჟიმთან თანამშრომლობენ.

სურათზე: პოლიციელები აპატიმრებენ მიტინგის ერთ-ერთ მონაწილეს.

ოუპი — ხაკდესის ფოტო

ESCAPE YOUR WORKING CLASS

ესეც შენი შრომის უფლება!
უმუშევროების ტრაგედია

შარშან რობერტ დეიფასმა სკოლა დაამთავრა და სცადა სამუშაოზე მოწყობილიყო. დიდი ხანია ოცნებობდა ელექტრიკოსობა დაჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა ამ პროფესიას. მაგრამ, ვაი რომ, მისთვის სამუშაო ვერ გამოიძებნა. რვა თვეს ეძებდა ქაბუკი სამუშაოს. და როცა, ბოლოს, მიხვდა, რომ არათუ ელექტრიკოსს, საერთოდ ვერავითარ სამუშაოს ვერ ამოვიდა, თავი ჩამოიხრჩო.

1977 წელს უმუშევრად რეგისტრაციაში გატარდა 250 ათასი ქალიშვილი და ქაბუკი, რომლებსაც ჯერ თვრამეტი წელი არ შესრულებიათ. ეს ინგლისის მთელი მუშახელის 6,8 პროცენტია. წელს ახალგაზრდათა შორის უმუშევრობა დაახლოებით იმავე, ევროპაში უმაღლეს (იტალიის შემდეგ), დონეზეა.

ამ ზაფხულს შრომის ბაზარზე საშუალო სკოლების კიდევ 600 ათასი კურსდამთავრებული გაეშვეს. არავინ იცის, მათგან რამდენი იშოვის ასე თუ ისე შესაფერი სამუშაოს.

ინგლისის მთავრობამ ამას წინათ გამოაცხადა, რომ მნიშვნელოვნად შეამცირა კაპიტალური დაბანდება ფოლადის წარმოებაში. პროფკავშირებმა გამოიანგარიშეს, რომ ამ აქციის შედეგად სულ ცოტა 25 ათასი კაცი დაკარგავს სამუშაოს. ცხადია, ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება.

რა პირობებში არიან უმუშევარი ადამიანები, რომლებიც ლამის ღატაკურად ცხოვრობენ? აი ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც ოფიციალურ ანგარიშებში ფიგურირებენ.

**ცხადია კარგია, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ინფორმაციის სულ უფრო მზარდი ურთიერთგაცვლის წყალობით ამა თუ იმ ქვეყნის ამბებს შეტყობა ახლა ადამიანს შეუძლია იმავე ქვეყნის პრესის საშუალებით. მაგრამ მე სირცხვილით ვიწვი ჩვენი ქვეყნის — კანადის გამო, როცა კი „გლობ ენდ მეილი" გადავშლი და გამახსენდება, რომ შესაძლოა ამ გაზეთს სოციალისტურ ქვეყნებშიც კითხულობენ. „თანხების დაზოგვის მიზნით უმუშევართა ეთოლოგიის შემოწმება", — ასეთი სათაური აქვს გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილს. იმ კანადელთა რიცხვი, რომლებიც უმუშევრობის დაბარებას იღებენ იმდენად გაიზარდა, იუწყება გაზეთი, რომ მთავრობა აპირებს ამასთან ერთად ეკონომიკურ მეცნიერთა ერთ-ერთ ჯგუფს, ეკონომიკურ ანალიზს ეკეთებინოს, ეფექტიანი ზომა ეღონა ამ ფენომენის ასაცილებლად. ეს ჯგუფი ასკვნიდა, ეს ზომა ეს ეფექტიანი ზომა ეს ეფექტიანი ზომა ... ეს ... ეს ... ეს

კულტურის ქრონიკა

შემოქმედებითი ძიებისათვის

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს გადწყვეტილებით თეატრების შემოქმედებით მუშაობა დიდ ჯგუფს ჰეროიკულ-პატრიოტულ თემაზე მაღალი იდეურ-მხატვრული დონის სპექტაკლების შექმნისათვის მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. დ. პოპოვის სახელობის 1977 წლის მედლები.

ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა პ. ნ. დემიჩევმა ჯილდოები გადასცა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ მცირე თეატრში კ. ტრენიოვის პიესის მიხედვით სპექტაკლ „ლუბოვ იაროვაიას“ შემქმნელებს.

ვერცხლის მედლები გადაეცა მოსკოვის გოგოლის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივს ი. ბონდარევის რომანის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ნაპირისათვის“, კურსკის ა. ს. პუშკინის სახელობის საოლქო დრამატული თეატრის კოლექტივს მ. შოლოხოვის რომანის „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“. მიხედვით შექმნილი სპექტაკლისთვის „პოლკა მიდის“, **გორის ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს ა. ფადეევის რომანის მიხედვით შექმნილი სპექტაკლისათვის „ახალგაზრდა გვარდია“.**

დაჯილდოებულებმა გულითადი მადლობა გადაიხადეს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. (საკ.).

ᲫᲚᲔᲠᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის თეატრში გაიმართა სოხუმის ქორეოგრაფიული სტუდიის საანგარიშო კონცერტი. მოსწავლეებმა აჩვენეს მრავალფეროვანი პროგრამა, რომელშიც შეეხება მსოფლიოს ხალხთა ცეკვები, ჟანრული მინიატურები.

სტუდიის სახელმძღვანელმა და მთავარმა ბალეტმასტერმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ლ. ჩიხლაძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ჩვენი ძირითადი მიზანია ბავშვებს ჩავუნერგოთ მშვენიერების გრძნობა. სტუდიის ბევრი კურსდამთავრებული პროფესიონალი შემსრულებელი გახდა, თვითონ ხელმძღვანელობს ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, ზოგიერთი სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს.

აფხაზეთის ფილარმონიაში შესრულდა აფხაზ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები. იქ იყო ეროვნული მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი ანგარიში, რომელმაც ცხადყო მათი გაზრდილი ოსტატობა.

პროგრამაში შეტანილი იყო კ. ჩენგელიას კამერული ნაწარმოებები „აფხაზური კაპრიჩიო“ და ვ. ჭაჟიას სკერცო „მხედარი“.

მსმენელები გულთბილად შეხვდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორის ბ. პეტროვის საფორტეპიანო კონცერტსა და მ. ბერიკაშვილის სიმფონიურ სურათს.

საღამოზე პიანელად შესრულდა ა. ჩიჩბას სიმფონია „გამარჯვება“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ათ წელზე მეტი ხნის არსებობის ისტორია აქვს რაიონული სახვითი ხელოვნების მუზეუმს. მის საგამფენო დარბაზებში წარმოდგენილია ცნობილი ქართველი და რუსი მხატვრების ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული, ჭედური და კერამიკული ნამუშევრები.

სულ ახლახან გამოფენილ ექსპონატებს შეემატა ტ. სიხარულიძის ოთხი სკულპტურული ნამუშევარი.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲕᲔᲚᲐᲓ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლთან შეიქმნა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, რომელსაც კულტურის სახლის დირექტორი ნატო წიკლაური ხელმძღვანელობს. ანსამბლში გაერთიანებული არიან მძღოლი მიხეილ ხუციშვილი, მეცხოველე გიორგი გიგაური, მოსწავლე ნელი ხუციშვილი და სხვები.

მაყურებლები მუდამ ტაშით ხვდებიან წიკლაურიანთ საოჯახო ანსამბლის მონაწილეთა სცენაზე გამოსვლას. ანსამბლში მღერიან სიმონ წიკლაური და მისი ოჯახის წევრები ტასო, მაყვალა, ნატო და ნიკო.

ანსამბლი კონცერტებს მართავს სასოფლო კლუბში, აწყობს გასვლით კონცერტებს მეცხოველეობის ფერმაში, საველე ბანაკებში, მეზობელ სოფლებში. ანსამბლის პროგრამაშია ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური ხალხური სიმღერები. (საქინფორმი).

სეინერები გადიან ზღვაში

აჭარის მეთევზეთა წარმატება



შავი და აზოვის ზღვების მთელ აუზში შრომიოს ვახტზე დგანან აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს სეინერები. თავიანთი დღესასწაულის წინ აჭარელი მებადურები სამშობლოს უპატაკებენ ხუთწლედის დამკვრელური წლის პირველი ნახევრის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

— პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლა მთავარი იყო ჩვენს მუშაობაში, — თქვა სამმართველოს უფროსის მოადგილემ მ. მოდებაძემ. წელს აჭარელი მებადურები და თევზის დამმუშავებლები გამოუშვებენ 14 მილიონი მანეთის პროდუქციას — შარშანდელთან შედარებით 6 მილიონი მანეთით მეტს.

ეს წარმატება მიღწეულია ჩვენი მებადურების თავდადებული შრომით. საუკეთესო შრომითი მაჩვენებლები აქვს სეინერ სჩს — 80-ის ეკიპაჟს, რომლის კაპიტანია ვასილ სკლოზუბოვი. სარეწავი რეისებიდან უხვი ნადავლით ბრუნდება სეინერი სჩს— 192-იც, რომელსაც მეთაურობს კაპიტანი კონსტანტინე ჭელიძე.

აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს კოლექტივის ორ მესამედზე მეტს ახალგაზრდობა შეადგენს. ამასთან დაკავშირებით აქ ფართოდ გავრცელდა დამრიგებლობა. მაგალითად, კაპიტანმა-დამრიგებელმა გიგი უკლებამ ოცდაათზე მეტი მოწაფე გაზარდა. ახალგაზრდობას თავის გამოცდილებას უზიარებს ბევრი სხვა სპეციალისტიც. (საქინფორმი).

• • •

სურათებზე: (მარჯვნიდან მარცხნივ): **კაპიტან-ბრიგადირი ვასილ სკალაზუბოვი, თევზჭერის ოსტატი ავთანდილ ანანბა და კაპიტნის უფროსი თანაშემწე ვაგან მადოიანი. მარჯვნივ — ბადის ამოღება სჩს — 80 სეინერზე.**

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲘ

მანძილი შემცირდა კალინინგრადამდეც

...თბილისის აეროპორტის დიქტორის ცნობა უჩვეულოდ ზეიმურად გაისმა: „ცხადდება ჩასხდომა 6893 რეისის თვითმფრინავში, რომელიც რეგულარულ მიმოსვლას იწყებს თბილისსა და კალინინგრადს შორის! „დილის მზის სხივებში მოლაპარაკე ტუ-134 თვითმფრინავმა 76 მგზავრითურთ ასაფრენი ბილიკი „გაარბინა“ და რბილად მოწყდა დედამიწას. 10 ათას მეტრ სიმაღლეზე ტუბინების ხმაური მიყუჩდა, და თვითმფრინავი თითქოს ჰაერში ჩამოეკიდაო.

ეკიპაჟს მეთაურობს გამოცდილი მფრინავი გივი ქურდაძე, რომელიც აეროფლოტში სამხედრო ავიაციაში 17 წლის სამსახურის შემდეგ მოვიდა. შუა აზიის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში დაპყავდა გივის მანქანა. ახლახან მან გამოცდები ჩააბარა და პირველი კლასის პილოტი გახდა. ჟურნალისტებმა, რომლებიც ახალ რეისს აშუქებენ, პირველებმა მიულოცეს მოწინავე ეკიპაჟის მეთაურს.

გამოცდილი ავიატორია მეორე პილოტი გიორგი ლომსაძეც. ექვსი წლის წინათ აფრენს დროს მისი ან-2 თვითმფრინავის მოტორს ცეცხლი მოეკიდა. რამდენიმე წუთიც და თვითმფრინავი აფეთქდებოდა. პილოტმა მაშინვე შეაფასა ვითარება და შეძლო დაესვა თვითმფრინავი. საინტერესო ბიოგრაფია აქვთ აგრეთვე ბორტმექანიკოს აკაკი სანიკიძეს, შტურმან ალექსანდრე სხირტლაძეს. პილოტ-ინსპექტორ ზაგენ შახბაზიანს.

მგზავრთა თხოვნას მაშინვე ეხმაურებიან მზრუნველი სტიუარდესა ნანა ნადირაშვილი — ეკიპაჟის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, და ბორტგამყოლი — ივანე ლაშქარაშვილი, რომელიც უკვე 13 წელია დაფრინავს, კარგ შეფასებას აძლევენ ეკიპაჟს თვითმფრინავში მყოფი რეისის ხელმძღვანელი — თბილისის ავიასაწარმოს მეთაურის პირველი მოადგილე ლავრენტი მკრტიჩიანი და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საპაერო მიმოსვლის ცენტრალური საგზენტოს უფროსი სერგი ჯიქია, რომელმაც ავიაციაში სამსახური კალინინგრადში დაიწყო.

ვეცნობით მგზავრებს. ზაპოროჟიეში ნათესავ-ბთან მიფრინავს თბილისელი მოსწავლე გია უნაგქოშვილი. ახალციხელი მძღოლი სერგო ოქრომელიძე, რომელიც სამხედრო მოსამსახურე შვილთან ოლეგთან მიფრინავს, ცოლთან და ქალიშვილთან ერთად გაცხოველებით საუბრობს ამ მოგზაურობაზე. კალინინგრადში შვებულების გასატარებლად მიფრინავს საბჭოთა არმიის წარჩინებული ანდრია ალდოხინი, რომელიც ამიერკავკასიაში იხდის სამსახურს.

ქვემოთ ბალტიის ზღვა გამოჩნდა. თვითმფრინავი მიაპობს ღრუბლებს. და აი, დაფრა რა 2.600 კილომეტრი მანძილი, ხუთი საათის შემდეგ კალინინგრადში ჩაფრინდა. ახალი რეისის შემოღებით ქალაქი საპაერო გზით დაუკავშირდება ქვეყნის 33 ქალაქს.

რეისის მონაწილეებს თვითმფრინავის კიბესთან მიესალმა ავიატორთა ჯგუფი კალინინგრადის ავიასაწარმოს მეთაურ ევგენი ბოგდანოვთან ერთად. პირველი ინტერვიუ პირდაპირ თვითმფრინავთან გაიმართა.

გასული ომის დროს კალინინგრადთან ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა გაიმართა. სიმაგრედ გადაქცეული ქალაქის იერიშის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის 218 მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მათ შორის იყო ჩვენი სახელოვანი თანამემამულე შოთა გამცემლიძეც, რომლის სახელსაც ატარებს ბალტიის ზღვის სანაოსნოს ერთ-ერი ხომალდი. დაღუპულ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად დაგრეგულ ქალაქში სულ რაღაც 3,5 თვის მანძილზე 1945 წლის 15 ივნისიდან 30 სექტემბრამდე, აღმართეს ძეგლი. აქ დაკრძალულ 1.200 მეომარს შორის განისვენებს გვარდიის ზემდგომი გ. შუბლაძე.

დღეს კალინინგრადი მებადურთა, მანქანათმშენებელთა, გემშემკეთებელთა, მეჭაღადეთა ქალაქია. მისი საწარმოების პროდუქცია მსოფლიოს 50 ქვეყანაში იგზავნება. აქ ხუთი უმაღლესი სასწავლებელია. ეს ლამაზი ქალაქი მწვანეშია ჩაფლული.

ქალაქის ავტობუსში შევხვდით თანამემამულეს, ომის მონაწილეს შოთა სართანიას. მოწინავე მძღოლი აქ დაოჯახდა და უკვე 27 წელია კალინინგრადში ცხოვრობს და მუშაობს. პატივისცემით სარგებლობს მიხეილ სალუქვაძეც, რომელიც ფეხსაცმლის გაერთიანებაში მუშაობს.

...რა სწრაფად გადის დრო. ვემშვიდობებით კალინინგრადს. ტუ-134 კურსს თბილისისაკენ იღებს.

გ. ბაციაშვილი.

საქინფორმის სპეც. კორ.

• • •

სურათებზე: ზემოთ. — ტუ-134 თვითმფრინავის ეკიპაჟი, რომელმაც თბილის-ზაპოროჟიე-კალინინგრადის მარშრუტით პირველი რეისი შეასრულა. ქვემოთ—სტიუარდესა ნანა ნადირაშვილი მგზავრებს ემსახურება. მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოსწავლეთა ოცდამეათე...

ᲖᲕᲘᲓᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲗ

ᲯᲔᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲖᲔᲐ

საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადა რესპუბლიკის 7 რეკორდით აღინიშნა. ამ დიდი შეჯიბრების პირველ ეტაპში მონაწილეობა მიიღო თითქმის ნახევარმა მილიონმა მოსწავლემ, ხოლო ფინალური ეტაპის სამ ჯგუფში 4 ათასმა საუკეთესო სპორტსმენმა იასპარეზა. პირველი ჯგუფის გუნდებში უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისის ნაკრებმა — 588 ქულა. მეორე ადგილზე გავიდნენ აჭარის მოსწავლეები (498), ხოლო მესამეზე — ქუთაისელები (493). მეორე ჯგუფში საპრიზო სამეული ასე განლაგდა: 1. სამხრეთ ოსეთი (272), 2. ფოთი (253), 3. ჭიათურა (210). მესამე ჯგუფში ყველას აჯობეს ახალციხელებმა (139). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლანჩხუთისა (133) და ახმეტის (128) რაიონების წარმომადგენლები.

— სპარტაკიადის მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გარკვეული წინსვლა იგრძნობა მძღოსნობაში, — თქვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსმა დ. კვინიკაძემ. — შვიდდან ექვსი რეკორდი დამყარდა თბილისის „დინამოს“ სტადიონის მძღეოსნურ სექტორებზე, ხოლო ერთი — ქუთაისის აუზში. გაიცანით რეკორდსმენები: ლეონა წინწალაშვილი (800 მეტრზე რბენა — 2.12.8), ვალერი საბანაძე (ბადრო— 57,12 მ.). ოლეგ ვერშინინა (ხუთჭიდი — 3845 ქულა), არშაკ ნერსესიანი (სამხტომი — 15 მ.), გოჩა ჩადუნელი (სიგრძეზე ხტომა — 711 სმ), აფხაზეთის გუნდი (ამანათრბენი 4X400 მეტრზე — 4.02,0). ეს შედეგები 1961-62 წლებში დაბადებულ იუნიორთათვის მნიშვნელოვანი მიღწევებია. მოგგონებთ, რომ წინა სპარტაკიადაზე ვერც ერთმა ნორჩმა მძღეოსანმა ვერ შეძლო არათუ რეკორდის დამყარება, არამედ პირველი თარიგის ნორმატივების შესრულება. როგორც ხედავთ, გარკვეული პროგრესი არის, მაგრამ საკავშირო სარბიელზე ასეთი შედეგებით X-XII ადგილს თუ შესწვდები. იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის ახალ მძღეოსნურ ბაზაზე, ზამთრის დარბაზში ჩვენი მოსწავლეები კიდევ უფრო დაოსტატდებიან. ახლა ჯერი მწვრთნელებზე და მათს აღსაზრდელებზეა.

მეშვიდე რეკორდსმენია თბილისელი მოსწავლე ნუნუ ზალდასტანიშვილი. მან ქუთაისში 200 მეტრი ბატერფლიათი გაცურა 2 წუთსა და 34,1 წამში. გარდა ამისა, ქუთაისში ექვსმა მოცურავემ და წყალმხტომელმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, 34-მა — ოსტატობის კანდიდატისა.

კარგად იასპარეზეს მოსწავლეებმა მხატვრულ ტანვარჯიშში. სამმა სპორტის ოსტატის, ხოლო რვამ კანდიდატის ნორმატივების შესრულებით დამთავარა ასპარეზობა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახლად მოვლენილი ოსტატები ძირითადად თბილისში აღზრდილი სპორტსმენები არიან. უფრო მეტიც, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების 628 კანდიდატიდან 335 თბილისელია. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც ტაშკენტში გაიმართება, მონაწილეობის პრეტენდენტები არიან აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და მთელი რიგი რაიონების სპორტსმენები. პირველად რესპუბლიკის ნაკრებში ვიხილავთ მეტსტის (ძიუდო და კრივი), ლაგოდეხის (ვოლოსპორტი), თერჯოლის (ჭიდაობა) და სხვა რაიონების მოსწავლეებს. მაგრამ არის რაიონები (აბაშა, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი, ქალაქი ტყიბული და სხვ.), რომლებსაც ერთი სპორტსმენიც კი არ ჰყავთ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. ჩანს, ბავშვთა სპორტის განვითარებისათვის დასახელებულ პუნქტებში ნაკლებად ზრუნავენ. (საქინფორმი).

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲥᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ

გალის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ამ დღეებში გახდა მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს კანოეთი და ბაიდარებით ნორჩ ნიჩბოსანთა მზადების ადგილი.

საქართველოს ნაკრებ გუნდში შედიან თბილისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, მცხეთისა და სხვა ქალაქების ნიჩბოსნები.

სურათზე აღბეჭდილია ნიჩბოსანთა მორიგი წვრთნა, რომელსაც ატარებს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, ჰამლეტ მარიხაშვილი (მარცხნივ).

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

პირველი წრის გოლო ტური

გუშინ მოსკოვში ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ერევნის „არარატის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო, მეთხუთმეტე ტური. შეხვედრა დამთავრდა „ლოკომოტივის“ გამარჯვებით — 2:1.

დღეს ტურის ექვსი მატჩი გაიმართება. ერომანული ხვდებიან: „პახტაკორი“-„დენეპრი“, „ნეფტჩი“-„ჩერნომორეცი“, „დინამო“ (კიევი)-„ტორპედო“, „ზენიტი“-„ალანია“, „დინამო“ (მოსკოვი)-„ცსკა“, **„დინამო“ (თბილისი)-„ზარია“.**

საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისის „დინამო“ და ვოროშილოვგრადის „ზარია“ ერთმანეთს 22-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა 10 მატჩი მოიგეს, 9 ფრედ დაამთავრეს, ხოლო 3 შეხვედრა წააგეს. ბურთები: 32:19 თბილისელთა სასარგებლოდ.

ხვალ მეთხუთმეტე ტურის ბოლო მატჩია. „სპარტაკი“ მასპინძლობს „შახტიორს“.

□

გუშინ გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და „ზარიას“ დუელი ორთა შეხვედრა. მასპინძლებმა კვლავ კარგად ითამაშეს და დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:1 (2:0). თბილისელთაგან სამი გოლი გაიტანა ბაზაზიშვილმა (28-ე, 31-ე და 71-ე წუთებზე), ხოლო ერთი—მინაშვილმა (51-ე წუთზე).

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მამინაშვილი, დურდიაძე, ჭილაია, ჯოხაძე, მუჯირი, მინაშვილი, გოგოლაძე, კოპალეიშვილი, კაკილაშვილი (ფვანია), ბაზაზაშვილი, გილაური (ბოლქვაძე).

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

კალიფორნიაში (აშშ) ქალაქ ბერკლის უნივერსიტეტის სტადიონზე დაიწყო სსრ კავშირისა და აშშ-ის მძღეოსანთა ტრადიციული მატჩი. პირველი დღის სტარტების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენი ქალები დაწინაურდნენ ანგარიშით 45:39. ვაჟებში ლიდერობენ ამერიკელები — 51:43.

ᲐᲚᲘᲝᲮᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

11 ივლისს ვილნიუსში იწყება საერთაშორისო ტურნირი 16 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით. ამ ტრადიციულ შეჯიბრებას — ალიოხინის მემორიალს საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი, როგორც წესი, სხვადასხვა ქალაქში აწყობს. ასეთი ასპარეზობები ყოველთვის ძლიერ, თანაბარ შემადგენლობას იკრებენ. მასში არაერთგზის უთამაშიათ მსოფლიოს ჩემპიონებსა და ექს-ჩემპიონებს.

მოუბდარკეთა შემადგენლობა ახლაც ძლიერი იქნება. თუმცა, მონაწილეთა სრული სია ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ცნობილია, რომ ვილნიუსში ითამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), საბჭოთა კავშირის ჩემპიონები დიდოსტატები ბ. გულკო (მოსკოვი) და ი. დორფმანი (ლვოვი).

ბევრ სტუმარს მოელიან უცხოეთიდან. საინტერესოა, რომ ითამაშებს საერთაშორისო ოსტატი კ. კაიშაური (შვეიცარია), რომელიც მარშან ოქტომბერში ვ. გოგლიძის მემორიალში მონაწილეობდა.

ამ ასპარეზობაში ჩაებმებიან მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე და მისი მწვრთნელი დიდოსტატი თ. გიორგაძე. მაიასათვის ეს, ცხადია, უკანასკნელი რეპეტიცია იქნება მსოფლიოს ჩემპიონობისა გაფრინდაშვილთან მატჩის წინ.

მოკლედ —

ᲪᲣᲠᲥᲐ. მოსკოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს ლენინგრადელმა სერგი რუსინმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა ევროპის რეკორდი — 3 წუთი და 54,47 წამი. ამ დისტანციაზე ქალთა შორის ყველას აჯობა ლენინგრადელმა ირინე აქსიოსოვამ (4.15.81 — საკავშირო რეკორდი). 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საკავშირო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ოლგა კლეკანინამ — 4.54,77. ვაჟთა შორის ამავე სახეობაში უძლიერესი იყო კრეოიროგელი სერგი ფესენკო — 4.25.81.

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘᲡᲞᲝᲠᲢᲘ. თბილისის ველოტრეკზე დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი. სპრინტში ყველას აჯობა დინამოელმა გ. დვალიშვილმა. 1.000 მეტრზე ადგილიდან ჰიტში და 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში უძლიერესი იყო განთიადელი ა. სიგოჟელიზოვი (1.09,9 და 5.05,7), 4 კმ-ზე გუნდურ რბოლაში — „განთიადის“ ნაკრები (4 წუთი და 38 წამი), 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში — ი. დემენკოვი („შრომითი რეზერვები). საერთო-გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს განთიადელებმა.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას მოგახსენებთ ყველა იმ ორგანიზაციას, დაწესებულებას, ცალკეულ პიროვნებას, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის ღრმა წუხარება საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **დიმიტრი ეგნატეს ძე ბელაშვილის** გარდაცვალების გამო.

დ. ვ. ბელაშვილის ოჯახი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

9 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 09.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 09.55 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები (მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიმიტრი ნალბანდიანი — მხატვარი მოქალაქე“ (ფერადი), 11.50 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 12.20 — „შევისწავლოთ გზებზე მოძრაობის წესები!“, 12.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 13.30 — კინოფიშა, 14.00 — „შეხვედრა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებთან“, 14.30 — ო. იოსელიანი. სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „სანამ ურემი გადაბრუნდება“. მოსკოვის ნ. გოგოლის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობთა მონაწილეობით (მოსკოვიდან), 16.20 — „საერთაშორისო პანორამა (მოსკოვიდან), 16.50 — „დღეს მებადურის დღეა“ (მოსკოვიდან), 17.15 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.00 — „კინოს მოყვარულთათვის“, 19.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი). რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფერადი). შესვენების დროს კინოჟურნალი, 21.15 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე—მხატვრული ფილმი „გასაღების გადაცემა არ შეიძლება“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — დოკუმენტური ფილმი „დიდი თეატრი“ (ფერადი), 19.40 — მხატვრული ფილმი „აუ-უ!“ (ფერადი).

10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტბიდან ზღვამდე“ (ფერადი), 16.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 17.15 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი (მოსკოვიდან), 18.00 — განცხადებები, 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიკვდილის უფლება რომაში“ (ფერადი), 18.20 — მოსწავლეთათვის — „მშვიდობით, მშობლიურო სკოლავ!“ (გამეორებით. ფერადი), 18.55 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.15 — „პარტიული ცხოვრება“ — „რაიკომი — სოციალისტური შეჯიბრების სათავეში“, 19.45 — კინოჟურნალი, 19.55 — „წელი მესამე — წელი დამკვრელური“ (მოსკოვიდან), 20.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეინარჩუნე ცეცხლი“, 21.00 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მხარდამხარ“. პრემიერა (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „წარსული წლების სიმღერები“ — კონცერტ-მოგონება.

მეორე პროგრამით

18.00 — დოკუმენტური ფილმი „დედებზე დაურსულებლად შეიძლება საუბარი“, 19.00 — განცხადებები, 19.05 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ფერდინანდ ლიუსის სიცოცხლე და სიკვდილი“. I სერია (ფერადი).

ᲗᲔᲐᲢᲠᲝ

9 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ჯ. დიუსელდორფის დრამატული თეატრის გასტროლები (გფრ) რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში — **ᲒᲐᲠᲐᲒᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ** (ღღისით და საღამოს); **ხარკოვის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები** (აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის შენობაში) — **ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ.**

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული —99-87.61. პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის —93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02254 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14